04/10/2024

სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომის ოქმი N 2

თბილისი, 04 ოქტომბერი 2024

სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომას ესწრებოდნენ ონლაინ რეჟიმში ZOOM-ის პლატფორმის გამოყენებით საბჭოს წევრები:

1. თამარ გაგოშიძე - ფსიქოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრის დამფუძნებელი - საბჭოს თავმჯდომარე;

2. თამთა კუხალეიშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი, მენტორი, კონსულტანტი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამის ტრენერი, ადრეული განათლების ცენტრის „მწვანე ალუბალი" მასწავლებელი და საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი - საბჭოს მდივანი;

3. ხათუნა დოლიძე - ფსიქოლოგიის დოქტორი, სერთიფიცირებული ჩაილდ ლაიფ სპეციალისტი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სკოლამდელი და ინკლუზიური განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, სკოლამდელი განათლების მიმართულებით ჯოენის სამედიცინო ცენტრის ფსიქო-სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

4. ნატო შეროზია - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

5. იაგორ ბალანჩივაძე - განათლების დოქტორი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;

6. ხათუნა ბარაბაძე - პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის/დირექტორის პროფესიის რეგულირების ქვეპროგრამის მენეჯერი - საბჭოს წევრი;

7. თამარ თოლორაია - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების სამმართველოს უფროსი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერი, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განთლების დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის განხორციელების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფის წევრი - საბჭოს წევრი;

8. თეკლე კაპანაძე - საბავშვო ბაღების საკონსულტაციო ცენტრის „ქიდსოფისი" დამფუძნებელი დირექტორი, სსიპ - „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი" მასწავლებელი - საბჭოს წევრი;

9. ნინო ლაბარტყავა - ფსიქოლოგიის დოქტორი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების სამმართველოს უფროსი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;

10. მანანა მელიქიშვილი - ფსიქოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე - საბჭოს წევრი;

11. გიორგი მესხიძე - საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკას დამფუძნებელი,

გამგეობის თავმჯდომარე, ევროპის ტრენინგ ორგანიზაციათა ქსელის ვიცე - პრეზიდენტი და გამგეობის წევრი - საბჭოს წევრი;

12. თამარ საღინაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის სასერტიფიკატო პროგრამების კოორდინატორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი, მენტორი, სკოლამდელი განათლების კონსულტანტი, ტრენერი - საბჭოს წევრი;

13. ნინო ჯიჯავაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი, მკვლევარი, მენტორი, კონსულტანტი, „სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის" პროგრამის საგანმანათლებლო რესურსების დანერგვის ექსპერტი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონსულტანტ-ტრენერი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებისა და ავტორიზაციის პროცესის მიმართულებით, სსიპ - მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ქვეპროგრამის ტრენერი - საბჭოს წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

1. **ნათია ვაჭარაძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე;

საბჭოს სხოდმა დაიწყო 12:00 სთ-ზე.

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე ნათია ვაჭარაძე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 25 წევრიდან ესწრებოდა საბჭოს 13 წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ

მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ამასთანავე მან აღნიშნა, რომ საბჭოს მდივარი ვერ ესწრება სხდომას და საჭიროა რეგულაციის შესაბამისად საბჭოს მდივნის მოვალეობა შეითავსოს რომელიმე წევრმა.

საბჭოს თავმჯდომარემ წამოაყენა თამთა კუხალეიშვილის კანდიდატურა რომელსაც საბჭოს სრულმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი.

ნათია ვაჭარაძემ ითხოვა საბჭოს წევრებისაგან ნებართვა, რომ ოქმის წარმოების მიზნებიდან გამომდინარე აღნიშნული სხდომა ჩაწერილიყო, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში განადგურდებოდა. რაზეც საბჭოს დამსწრე წევრებიდან არცერთს არ გამოუთქვამს საწინააღმდეგო აზრი.

საბჭოს თავმჯდომარე თამარ გაგოშიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, რის შემდეგაც, მათ გააცნო საბჭოს სხდომის მიზანი და დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. **სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისადმი დასამტკიცებლად წარდგენის საკითხი (დანართი #1)**

მოისმინეს:

ცენტრის წარმომადგენელმა ნათია ვაჭარაძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების პროცესი იყო ეფექტური. მან აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და UNICEF -გაეროს ბავშვთა ფონდის თანამშრომლობის ფარგლებში დარგობრივ მახასიათებელზე მოსაზრებების/შენიშვნების და რეკომენდაციების მიღების მიზნით განხორციელდა გარე შეფასება უცხოელი ექსპერტის მიერ.

შესაბამისად, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF) შორის თანამშრომლობის ფარგლებში სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის განსახილველად ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

04/10/2024

შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა განიხილეს სკოლამდელი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან მიმართებით წარმოდგენილი რეკომენდაციები, რომელიც წარმოადგინა ესტონეთის ტარტუს უნივერსიტეტის კურიკულუმისა და პროფესიული სწავლების უფროსმა მარია იურიამაემ.

ნათია ვაჭარაძემა აღნიშნა, რომ აღნიშული დოკუმენტი მნიშვნელოვნად განსხვავდება 2021 წელს დამტკიცებული სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი ახასიათებლისგან, რაც განპირობებულია საბჭოს ინტენსიური მუშაობით, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, გარე ექსპერტული შეფასებით.
ნათია ვაჭარაძემ აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებით დარგობრივი მახასიათებლის პროეტი გატანილი იყო საჯარო განხილვაზე. ინფორმაცია განთავსდა ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერზე შემდეგი შინაარსის ტექსტით:

„გაცნობებთ, რომ სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრვი საბჭოს მიერ შემუშავებული სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის პროექტის განხილვის მიზნით, **2024 წლის 04 ოქტომბერს, 12:00-საათზე** ჩანიშნულია საჯარო განხილვის ონლაინ სხდომა.

დოკუმენტის გაუმჯობესების მიზნით წინადადებების მიღება და სხდომაზე დასწრების მსურველთა რეგისტრაცია 03 ოქტომბრის 18:00-საათამდე იწარმოებს შემდეგ ბმულზე:https://forms.office.com/e/fYgjamKWpB

წინადადებების მიღება იწარმოებს: 19.09.2024-დან-03.10.2024-ის 18:00-მდე.

საჯარო განხილვაზე დასასწრები ბმული გამოგეგზავნებათ სხდომამდე 1 დღით ადრე.

გთხოვთ, შეკითხვების შემთხვევაში დაუკავშირდეთ კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილეს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე; N.vacharadze@eqe.ge

04/10/2024

დარგობრივი მახასიათებლის პროექტი იხილეთ ბმულზე: https://eqe.ge/ka/page/static/813/sajaro-gankhilva (N65 პუნქტი) „

გარე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით არ იქნა წარმოდგენილი

სხდომის ფარგლებში, საბჭოს თავმჯდომარემ მოკლედ შეაჯამა სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტზე მუშაობის პროცესი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის არსებული პროექტი შემუშავდა საბჭოს და გარე დაინტერესებული მხარის ინტენსიური მუშაობის ფორმატში. საბჭოს წევრებს აქვთ დოკუმენტზე შეთანხმებული პოზიცია, მან კიდევ ერთხელ წარუდგინა საბჭოს დოკუმენტის შინაარსობრივი ნაწილი. გაკეთდა დოკუმენტში საბოლოო ჩასწორებები.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მოდიფიცირებული დოკუმენტის არსებობა მნიშვნელოვანია, რადგან მის საფუძველზე დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, ყველა კურსდამთავრებული აღჭურვილი იქნება იმ აუცილებელი ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით, რომლებიც შრომის ბაზარს სჭირდება. მან ასევე აღნიშნა რომ ეფექტური იყო მუშაობის პროცესში, გარე ექსპერტული მოსაზრებების გაზიარება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტი ნამდვილად, დაეხმარება ყველა უმაღლეს სასწავლო საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლებსაც სურთ სკოლამდელი განათლების მიმართულებით განახორციელონ საბაკალავრო საფეხურის პროგრამები.

სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ძირითადი სტრუქტურისა და მახასიათებლების განხილვის შემდგომ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. **სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისადმი დასამტკიცებლად წარდგენის საკითხი (დანართი #1)**

04/10/2024

კენჭი ეყარა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს. საბჭოზე დამსწრე წევრებიდან ყველა მათგანმა დაადასტურა საკითხზე დადებითი გადაწყვეტილება.

კენჭისყრის მსვლელობისას გამოვლინდა 100% მხარდაჭერა.

13 მომხრე;

0 წინააღმდეგი.

გადაწყვეტილება: საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისადმი დასამტკიცებლად წარდგენის შესახებ

საბჭოს სხდომა დასრულდა 13:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე:

თამარ გაგოშიძე

საბჭოს მდივანი:

თამთა კუხალეიშვილი

04/10/2024